შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2023 წლის 27 დეკემბერი

დაბა შუახევი

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 იანვრის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 იანვრის N10 დადგენილებში (გამოქვეყნების წყარო: ვებგვერდი – www.matsne.gov.ge. სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.135.016210) პირველ მუხლში შეტანილ იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 1

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩევლებთან შესახვედრად, საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრს, რომელიც არ არის საკრებულოს თანამდებობის პირი ყოველი საანგარიშო თვის 1 რიცხვამდე მიეცეს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ყოველთვიური ანაზღაურება 735 (შვიდას ოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

შუახევის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **როსტომ ლორთქიფანიძე**